

„ბანკმა კონსტანტამ“ ახლადგახსნილი და განახლებული ფილიალების პრეზენტაცია გამართა

პრესრელიზი

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, „ბანკმა კონსტანტამ“ სადგურის (თბილისი, წინამძღვრშვილის ქ. 137) განახლებული ფილიალის პრეზენტაცია გამართა. დედაქალაქს წინ უძღვოდა 19, 20 და 21 ნოემბერს, სენაკის ფილიალის (რუსთაველის ქ.176), ქუთაისის სერვისცენტრისა (ფალიაშვილის ქ.31) და ზესტაფონის (აღმაშენებლის ქ.27) განახლებული ფილიალის პრეზენტაციები.

ხსენებული ფილიალები და სერვისცენტრი „ბანკი კონსტანტას“ მიერ შექმნილი ახალი კონცეფციის მიხედვითაა გაკეთებული. კონცეფცია შემუშავებულია მომხმარებლისთვის მყუდრო და მეგობრული ატმოსფეროს შესაქმნელად და ითვალისწინებს განახლებულ დიზაინსა და მომსახურების მაქსიმალურ კომფორტიზაციას.

გარდა განახლებული დიზაინისა, კონცეფცია ფილიალებსა და სერვისცენტრებში საქართველოში მოღვაწე უხუცესი ლოტბარების პორტრეტებისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საქმიანობის ამსახველი ფოტოების განთავსებას ითვალისწინებს. ხსენებული ფოტოები ემსახურება საქართველოს კუთხეებს შორის ინფორმაციის გაცვლის იდეასა და „ბანკი კონსტანტას“ ერთ–ერთი ძირითადი მიმართულების, ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზანს.

„ბანკი კონსტანტას“ სერვისცენტრები უახლოესი ფილიალის დაქვემდებარებაში მყოფი მომსახურების პუნქტებია და თბილისის მაცხოვრებელთათვის საბანკო მომსახურების მარტივად მიღების მიზანს ემსახურება. შესაბამისად, ადგილობრივ მოსახლეობას ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურებით სარგებლობა უკვე საკუთარი უბნიდან გაუსვლელად შეეძლება.

თვის ბოლომდე, „ბანკი კონსტანტა“ კიდევ ერთი ახლადგახსნილი სერვისცენტრის, კერძოდ კი, 27 ნოემბერს, ლილოს ბაზრობაზე არსებული მომსახურების ცენტრის პრეზენტაციას გამართავს.

„ფილიალების ქსელის განვითარება შეუქცევადი პროცესია. მიმდინარე წლის ბოლომდე, საქართველოს მასშტაბით, კიდევ რამდენიმე ახალი ფილიალის გახსნა და არსებულთა განახლება გვაქვს დაგეგმილი. აღნიშნული პროცესი მხოლოდ ფილიალების რაოდენობის ზრდას არ გულისხმობს: შემუშავდა კონცეპტუალურად სრულიად ახალი – იდენტური ნიშნის მატარებელი ფილიალების სტრუქტურა, სადაც ჩვენი კლიენტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი კომფორტისა და უმაღლესი ხარისხის ფინანსური მომსახურების მისაღებად. ვიმედოვნებთ, რომ ახალი ფილიალი თბილისის მოსახლეობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საკუთარი ბიზნესის განვითარებაში“ – განაცხადა „ბანკი კონსტანტას“ გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა **ლევან ლებანიძემ**.

###

საკონტაქტო პირი:

ქეთო გიორგობიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

+995 32 2 401 401; +995 599 226579

ketevan.giorgobiani@constanta.ge

„ბანკი კონსტანტა“ საქართველოს კომერციულ ბანკთა რიცხვს 2008 წლის ივლისში შეუერთდა და ამით, პირველი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გახდა, რომელიც ბანკად გარდაიქმნა. კომპანია 1997 წლიდან წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე და საქართველოს მასშტაბით არსებული 40-ზე მეტი ფილიალისა და სერვის-ცენტრის საშუალებით სრულ საბანკო მომსახურებას უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს. ბანკის საქმიანობა კიდევ უფრო გაიზარდა 2010-2011 წლებში, მას შემდეგ რაც ბანკს ახალი აქციონერები შეემატა – საერთაშორისო ინვესტორი, „ოიკოკრედიტი“ (11%) და საქართველოს ერთ–ერთი წამყვანი ბანკი, „თიბისი ბანკი“ (84%). დღეისათვის „ბანკი კონსტანტა“ 39 000-ზე მეტ კლიენტს ემსახურება საქართველოს მასშტაბით და მისი საკრედიტო პორტფელი 140 მილიონ ლარს აჭარბებს. „ბანკ კონსტანტა“-ს შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.bankconstanta.ge